საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

17/12/2024

MES 9 24 0001619812

გადაწყვეტილება

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფინანსების (თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა (ISET), ინგლისურენოვანი პროგრამა)" სამაგისტრო საგ ანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული "უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-8 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^6 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „სრულად ან/და მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, თუ ყველა სტანდარტთან მიმართებით შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) წარმოდგენილ იქნა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტის 2024 წლის 25 აპრილის №8770/01-06-03 (ცენტრში რეგისტრაციის №469455) წერილი, რომლითაც დაწესებულებამ წარმოადგინა სააკრედიტაციო განაცხადი "ფინანსების (თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა (ISET), ინგლისურენოვანი პროგრამა)" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თაობაზე.
2.2. ცენტრის დირექტორის 2024 წლის 28 მაისს №586764 ბრძანების საფუძველზე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის დირექტორის 2024 წლის 5 ივლისის №820628 ბრძანებით შეიქმნა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც დაწესებულებაში ვიზიტი "ფინანსების" (თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა (ISET), ინგლისურენოვანი პროგრამა) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მიზნით განახორციელა 2024 წლის 25 ივლისს.
ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დასკვნის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	x			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	**x**			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	**x**			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	**x**			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	**x**			

2.3. საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.4 ზეპირი მოსმენა გაიმართა **2024 წლის 3 დეკემბერს.** სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ 11 ხმით არცერთის წინააღმდეგ:

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ "ფინანსების (თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა (ISET), ინგლისურენოვანი პროგრამა)" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით (2031 წლის 3 დეკემბერი).
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის "ფინანსების (თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა (ISET), ინგლისურენოვანი პროგრამა)" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ დასკვნა ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2024 წლის 17 დეკემბრის №1619799 ოქმის № 03 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).

4. დაწესებულებას საბჭომ შესასრულებლად განუსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, ფინანსების დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნის შესაბამისად, გაიზარდოს შემაჯამებელი პროექტის (Capstone Project) კრედიტების რაოდენობა მინიმუმ 5 ECTS კრედიტამდე, რაც თავის მხრივ გაზრდის ორგანიზაციებში სტუდენტების დატვირთვას და უკეთ შეუწყობს ხელს სტუდენტების პრაქტიკული უნარების განვითარებას.
- სამაგისტრო ნაშრომის მომზადების პროცესის და კვლევის შედეგების ხარისხის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია ISET-ის შესაბამის პოლიტიკის დოკუმენტებში დაზუსტდეს ხელმძღვანელის და სტუდენტის თანაფარდობა.
- რეკომენდებულია პერსონალის დატვირთვის სქემა მოიცავდეს ინფორმაციას არა მხოლოდ სწავლების, არამედ სამეცნიერო - კვლევითი და სხვა დატვირთვის შესახებ აკადემიური და მოწვეული პერსონალის ფუნქცია - მოვალეობების შესაბამისად, ასევე ითვალისწინებდეს სტუდენტთა კონსულტაციისთვის გამოყოფილ საათებს.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- შეფასების პროცესში სიცხადის და სამართლიანობის გაუმჯობესების მიზნით, მიზანშეწონილია სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში დაზუსტდეს და დეტალურად აღინიშნოს ქულობრივი კრიტერიუმები.

- სასურველია, გაიზარდოს სტუდენტების ინფორმირებულობა და მონაწილეობა პროგრამების თვითშეფასების პროცესში.
- სასურველია, დაწესებულებამ სამომავლოდ გაითვალისწინოს აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდა.
- სასურველია, მაგისტრატურის სტუდენტებს მიაწოდონ პოტენციური ხელმძღვანელების სია, შესაბამისი კვლევის სფეროების მიხედვით.
- როგორც საერთაშორისო პროგრამას, სასურველია ჰქონდეს გაუმჯობესებული წვდომა საერთაშორისო ფინანსურ მონაცემთა ბაზებზე, როგორიც არის Bloomberg ან Refinitiv, რათა გადაიჭრას ამჟამინდელი დამოკიდებულება მხოლოდ ადგილობრივ მონაცემთა წყაროებზე წვდომის და ყოვლისმომცველ საერთაშორისო მონაცემების ანალიზზე შეზღუდული წვდომის საკითხი.
- სტუდენტების ჩარიცხვის საჭირო დონის მიღწევისა და ბიუჯეტის მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით, სასურველია მეტი სტუდენტის მოზიდვა, მარკეტინგული აქტივობების განხორციელება, სოციალური მედიის პლატფორმების გამოყენება და სხვა აუცილებელი სარეკლამო სტრატეგიების განხორციელება.
- სასურველია, შემუშავდეს დაინტერესებული მხარეების ჩართულობის ფორმალიზებული სტრუქტურა პროგრამის უწყვეტი განვითარების პროცესებში.
- სასურველია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა პროგრამის გუნდთან ერთად განახორციელოს პროგრამის შესაბამისობის მონიტორინგი დარგობრივ მახასიათებელთან და გაითვალისწინოს დარგთან დაკავშირებული სხვა ტენდენციები, იმისათვის, რომ გააძლიეროს პროგრამის უწყვეტი განვითარება და შეუფერხებელი და ეფექტური განხორციელება PDCA ციკლის ფარგლებში.

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2024 წლის 3 დეკემბერს.
6. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) დაწესებულების ინფორმირების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
მდივანი
ტეფნაძე დავით

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
თუთბერიძე გოჩა